



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 6/18

2023 წლის 12 აპრილი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ზოგიერთი კერძო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას, შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირების ლიკვიდაციის შესახებ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ითხოვს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების: შპს „ინფრასტრუქტურა 2008“-ის (ს/კ 215148695), შპს „საბინაო მომსახურების სერვის-ცენტრი მობინადრე - 2000“ (ს/კ 215109932), შპს „კომპლექსური სავაჭრო ცენტრის“ (ს/კ 215081408), შპს „კომპიუტერული სტამბის“ (ს/კ 215084897), შპს „ქ. ფოთის კულტურისა და დასვენების პარკის“ (ს/კ 215102056), შპს „ქ. ფოთის საწესჩვეულებო მომსახურების კომბინატის“ (ს/კ 215081079), შპს „ფოთი ქალაქტრანსპორტის“ (ს/კ 215131569) ლიკვიდაციაზე თანხმობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების: შპს „ინფრასტრუქტურა 2008“-ის (ს/კ 215148695), შპს „საბინაო მომსახურების სერვის-ცენტრი მობინადრე - 2000“ (ს/კ 215109932), შპს „კომპლექსური სავაჭრო ცენტრის“ (ს/კ 215081408), შპს „კომპიუტერული სტამბის“ (ს/კ 215084897), შპს „ქ. ფოთის კულტურისა და დასვენების პარკის“ (ს/კ 215102056), შპს „ქ. ფოთის საწესჩვეულებო მომსახურების კომბინატის“ (ს/კ 215081079), შპს „ფოთი ქალაქტრანსპორტის“ (ს/კ 215131569) ლიკვიდაცია.

მუხლი 2.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა საკრებულოს განკარგულების პირველი მუხლის შესრულებასთან დაკავშირებით განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებები.

მუხლი 3.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია 2023 წლის 12 აპრილიდან.